



10. 03. 2021 წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის მინისტრის
მოადგილეს ქალბატონ ხატია წილოსანს
ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის №6

ქალბატონო ხატია,

გაცნობებთ, რომ 2019 წლის 18 დეკემბერს ჩვენს მიერ თქვენდამი ქვემდებარე სამინისტროში გადმოგზავნილი იქნა (შემოსვლის №18488) შპს „ქვიშა ბათუმი“-ს (ს/კოდი 445537839) მიერ ქ. ბათუმში, აკაკი შანიძის ქუჩა №3, ე.წ. სამრეწველო ზონის ტერიტორიაზე (GPS-კოორდინატები: X-720046; Y-4607056) საკადასტრო კოდი: 05.35.28.246 ქვა-ღორღის გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობისა და ექსპლოატაციაში გაშვების შესახებ, სკრინინგის განცხადება.

საწარმოს ძირითად დანიშნულებას წარმოადგენდა ინერტული მასალის (ღორღი 20-30მმ ფრაქციის) ე.წ. მშრალი მეთოდით გადამამუშავება და სამშენებლო მასალის „ფილერი“ (0,5 მმ ფრაქციის ქვიშა) მიღება და რეალიზაცია.

სამინისტროს მიერ განხილული იქნა ჩვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და 2020 წლის 21 იანვრის №2-44 ბრძანების თანახმად საწარმოს მოწყობა და ექსპლოატაცია დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

ბრძანების მიღების დღიდან კომპანიის ადმინისტრაციამ დაიწყო მასალების მომზადება საწარმოს სკოპინგის პროცედურის გასაველად, რისთვისაც გააფორმა ხელშეკრულება ერთერთ კომპანიასთან სკოპინგის ანგარიშის მომზადების მიზნით. თუმცა გარკვეული დროის შემდეგ მოხდა ხელშეკრულების შეჩერება, გამომდინარე იქედან, რომ მოხდა არსებული საწარმოს სრული რეორგანიზაცია-გადაიარაღება, კერძოდ მოხდა ე.წ. ფილერის მწარმოებელი აგრეგატის (წისქვილი) ექსპლოატაციის შეჩერება და მისი სრული დემონტაჟი რაც უპირველეს ყოვლისა გამოწვეული იყო ხსენებულ სამშენებლო მასალის რეალიზაციასთან დაკავშირებული პრობლემებით.

აქვე გაცნობებთ, რომ მიმდინარე პერიოდისათვის მოცემულ ტერიტორიაზე დაგეგმილია ქვა-ღორღის გადამამუშავებელი ახალი საწარმოს ექსპლოატაციაში გაშვება, რომლის ძირითადი დანიშნულება იქნება ქვა-ღორღის ე.წ. სველი მეთოდით დამამუშავება და სამშენებლო მასალების ღორღისა და ქვიშის მიღება-რეალიზაცია.

გამომდინარე ზემოთხსენებულიდან, და საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მოთხოვნების შესაბამისად, გთხოვთ გააუქმოთ სამინისტროს და 2020 წლის 21 იანვრის №2-44 ბრძანება და განიხილოთ წარმოდგენილი საქმიანობის სკრინინგის განცხადების ხელახალი ვარიანტი, არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

საწარმოს მიერ დაკავებული ტერიტორია, რომლის ფართობი 4000 მ²-ია, წარმოადგენს შპს „ნაზირი და კომპანია“ საკუთრებას და არენდული უფლებებით დროებით სარგებლობაში

გადმოცემულია ხსენებულ კომპანიაზე, არსებული ორმხვრივი ხელშეკრულების თანახმად.

საწარმო განთავსებულია შავი ზღვიდან 4 კმ-ს დაშორებით, ავტომაგისტრალიდან (ბათუმი-ახალციხე) 1500 მეტრის დაშორებით, მდინარე ჭოროხიდან 60 მეტრის და დასახლებული პუნქტიდან 425 მეტრის დაშორებით.

მოცემულ ტერიტორიაზე დაგეგმილია და განთავსდება 4 ერთეული სხვადასხვა დანიშნულებისა და წარმადობის ჰაერდამაბინძურებელი არაორგანიზებული წყარო, მათ შორის:

- ინერტული მასალის პირველადი და მეორადი მტვრევის აგრეგატი;
- ინერტული მასალის მესამეული მტვრევის აგრეგატი;
- ინერტული მასალის (ლორღი) 2 საწყობი ღია ცის ქვეშ;
- ინერტული მასალის (ქვიშა) 2 საწყობი ღია ცის ქვეშ;

მაგნე ნივთიერებათა ძირითადი სახეობა იქნება მტვერი, რომელიც გამოიყოფა ქვა-ლორღის გადამუშავების დანადგარზე პირველადი და მეორეული მტვრევის (სველი მეთოდით) პროცესში და ქვა-ლორღის მესამეული მტვრევის (სველი მეთოდით) პროცესში. გარდა ამისა, მტვრის ატმოსფეროში გაფანტვა მოხდება საწარმოს ტერიტორიაზე არსებული ინერტული მასალების (ქვიშა, ლორღი) ღია ცის ქვეშ არსებული საწყობებიდან.

არსებული წარმადობიდან გამომდინარე, საწარმოში, მისი მაქსიმალური დატვირთვის პირობებში დაგეგმილია საათში გადაამუშავებს 25 მ³ ქვა-ლორღი, რაც წლიურად 62000მ³ (86800 ტ) შეადგენს, რისგანაც მიიღებს 52000 ტონა ლორღს და 30000 ტონა ქვიშა. ამ რაოდენობის ქვა-ლორღის გადამუშავების შემთხვევაში საწარმო წლიურად გამოაფრქვევს 7,04 ტონა მტვერს.

ტექნოლოგიური ციკლიდან გამომდინარე საწარმოს დაგეგმილი აქვს იმუშაოს 8 საათიანი სამუშაო რეჟიმით, 310 სამუშაო დღით წელიწადში.

მოცემულ ტერიტორიაზე დაგეგმილია და განთავსდება თურქეთის რესპუბლიკაში დამზადებული ქვა-ლორღის გადამამუშავებელი საწარმო „SEMAK“-ი, აღჭურვილი ერთი-10 მ³ მიმღები ბუნკერით, ერთი ყბებიანი სამსხვრეველით, ერთი როტორული სამსხვრევი აგრეგატით, ერთი დამხარისხებელი ცხავით, ერთი შნეკური და 6 სხვადასხვა ზომის ლენტური კონვეიერით.

საწარმოს ნედლეულით მომარაგება მოხდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ხელვაჩაურისა და ქედის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე არსებული კარიერებიდან, სხვადასხვა ორგანიზაციების და კომპანიების მიერ მოპოვებული (ლიცენზირებული) ნედლეულით. ნედლეულის შემოტანა საწარმოს ტერიტორიაზე მოხდება ავტოთვითმცლელების მეშვეობით, ბათუმი-ხულოს ავტომაგისტრალის გავლით. საპროექტო ტერიტორიაზე შემოტანილი ნედლეულის (ქვიშას-ლორღის) განთავსება მოხდება საწარმოს ტერიტორიაზე, ღია საწყობში, საიდანაც ავტომტვირთავის მეშვეობით მიეწოდება სამტვრე-დამხარისხებელ აგრეგატებს შემდგომი გადამამუშავების მიზნით.

საწარმოსათვის ტექნოლოგიური მიზნით წყლით მომარაგება დაგეგმილია მოხდეს საწარმოს ტერიტორიაზე არსებული, კომპანიის კუთვნილი ლიცენზირებული ჭაბურღილიდან.

საწარმოში მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესებიდან გამომდინარე საწარმოს მიერ წყალი გამოიყენება სხვადასხვა დანიშნულებით, კერძოდ:

- სასმელ-სამეურნეო;
- საწარმოო.

სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით წყლის მომარაგება განხორციელდება ადგილობრივი წყალმომარაგების სისტემიდან, შესაბამისი ტექნიკური პირობების შესაბამისად და ხელშეკრულების საფუძველზე.

სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებული წყლის რაოდენობა დამოკიდებულია მომსახურე პერსონალის რაოდენობასა და წყლის ხარჯის ინტენსივობაზე. საწარმოში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა შეადგენს 6-ს, ხოლო ერთ მომუშავეზე დღის განმავლობაში სანიტარული ნორმებით გათვალისწინებულია 45 ლიტრი წლის ხარჯი (სამუშაოების ფუნქციონირებისათვის საჭირო წყლის ჩათვლით). წელიწადში 310 სამუშაო დღის გათვალისწინებით სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებული წყლის რაოდენობა იქნება:

$$6 \times 45 \times 310 = 83700 \text{ ლ/წელ. ანუ } 83,7 \text{ მ}^3/\text{წელ}$$

საწარმოში გამოყენებული წყლის ჩაშვება მოხდება საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებულ მექანიკური ტიპის სალექარში.

სალექარი წარმოადგენს სამ სექციან გამწმენდ ნაგებობას, რომლის პარამეტრებია 15X8, 5X1,4 მეტრი. სალექარში დაგროვილი ლამის ამოღება მოხდება ავტომატურად მუშაობით და დასაწყობდება საწარმოს ტერიტორიაზე, ხოლო სალექარში დაგროვილი წყალი ნაწილი ბრუნვითი წყალმომარაგების პრინციპით, ტუმბოს მეშვეობით მიეწოდება ქვისსამტრვევ აგრეგატს, ნაწილი კი ჩაიშვება ადგილის რელიეფში.

რაც შეეხება სამურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლებს მათი ჩაშვება მოხდება 5 მ³-იან საასენზაციო ორმოში, საიდანაც ამოღებული სითხე გაიტანება სპეცმანქანით, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. გამომდინარე იქედან, რომ საწარმოში არაა დაგეგმილი რაიმე სახის საწვავის გამოყენება, ან რეალიზაცია, ამიტომ გამოყენებული წყლების დაბინძურების რისკი ნავთობპროდუქტებით არ არსებობს.

აღნიშნული საკმინობა არ უკავშირდება რაიმე სახის მამტაბური ავარიის ან კატასტროფის რისკებს. საკმინობა არაა დაგეგმილი ჭარბტენიან ტერიტორიებთან, შავი ზღვის სანაპირო ზოლთან, ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიებთან, სახელმწიფო ტყის ფონდსა და დაცულ ტერიტორიებთან. ასევე მიმდებარე ტერიტორიაზე არ არსებობს წითელი ნუსხის სახეობები. დაგეგმილი საკმინობის განხორციელების პროცესში ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება არაა მოსალოდნელი. ვიზუალური დათვალიერებით საპროექტო ტერიტორიაზე არ ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, თუმცა საწარმოს ტერიტორიაზე მიწის სამუშაოების შესრულების პროცესში არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არსებობის ნიშნების ან მათი რაიმე სახით გამოვლინების შემთხვევაში დამკვეთის მოთხოვნით სამუშაოთა მწარმოებელი ვალდებულია „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად შეწყვიტოს სამუშაოები და ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს კულტურის ძეგლის დაცვის სამინისტროს. რაც შეეხება საწარმოო ხმაურს ასევე მინიმალურია და სავსებით დააკმაყოფილებს არსებულ მოთხოვნებს.

საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია მცირე რაოდენობის როგორც არასახიფათო, ასევე სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა.

წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვება მოხდება კონტეინერული სისტემის გამოყენებით. უზრუნველყოფილი იქნება სახიფათო, არასახიფათო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება ცალკე.

საწარმოში სულ დასაქმდება 6 ადამიანი. შესაბამისად წლის განმავლობაში მუნიციპალური ნარჩენების მოსალოდნელი რაოდენობა იქნება $6 \times 0,73 = 4,38$ მ³. საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება მოხდება შესაბამის კონტეინერებში ხოლო მათი ტერიტორიიდან გატანა მოხდება რეგულარულად ნაგავსაყრელზე, ხელშეკრულების საფუძველზე, ადგილობრივი დასუფთავების სამსახურის მიერ.

რაც შეეხება საწარმოში დაგროვილ სახიფათო ნარჩენს, მათ შორის, საწარმოს ექსპლუატაციისას ძირითადად მოსალოდნელი კბილანური გადაცემის კოლოფის და სხვა ჰიდრაულიკური ზეთები, ზეთოვანი ლუბრიკანტები, ფლურესცენციული მილები და სხვა ვერცხლისწყლის შემცველი მასალები მათი შენახვის მიზნით საწარმოს ტერიტორიაზე გამოყოფილი იქნება დროებითი დასაწყობების დაცული ადგილები და მათი დროებითი შენახვა მოხდება ტერიტორიაზე გამოყოფილ სპეციალურ კასრებში, ხოლო შემდგომ აღნიშნული ნარჩენები მართვის მიზნით გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციას.

საწარმოში ტექნოლოგიური პროცესის წარმართვა მოხდება ტექნიკური უსაფრთხოების ნორმებისა და სანიტარული ნორმების სრული დაცვით, რაც უპირველეს ყოვლისა განპირობებულია როგორც მოსამსახურე პერსონალის, ასევე საწარმოს ახლომდებარე დასახლებული პუნქტის ტერიტორიაზე მაცხოვრებელი მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის. ამასთან ერთად, კომპანიის მხრიდან მკაცრი კონტროლი იქნება დაწესებული საწარმოში გარემოსდაცვითი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებაზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში კომპანია განახორციელებს დამატებითი გარემოსდაცვით ღონისძიებებს და განახორციელებს თვითმონიტორინგის სისტემას საწარმოს გარემოსდაცვით საქმიანობაზე. საწარმოსთან მისასვლელი გზის, სამრეწველო მოედნის ზედაპირის და ტექნოლოგიურ მოედნებზე არსებული მომანდაკებული საფარის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და მნიშვნელოვან სარეაბილიტაციო სამუშაოებს არ საჭიროებს.

დაგეგმილი საწარმოს ტერიტორიაზე მიმდინარე პერიოდისათვის განთავსებულია ადმინისტრაციული (ორსართულიანი კაპიტალური) შენობა, მუშა-მოსამსახურეთა მოსახვეწებელი, კვების ბლოკი და სხვადასხვა დანიშნულების სასაწყობო და სხვა შენობა ნაგებობები. საწარმოს ტერიტორიაზე ღია ცის ქვეშ მოწყობა სპეციალური უბნები გადასამუშავებელი ქვიშა-ღორღისა და მიღებული პროდუქციის განთავსებისთვის. გამომდინარე ზემოთხსენებულიდან და საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად, განსახილველად წარმოგიდგენთ ზემოთხსენებული საწარმოს საქმიანობის სკრინინგის განცხადებას არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

პატივისცემით,

შპს „ქვიშა ბათუმი“-ს დირექტორი

მეკმედ ქუთანოძლი